



შემუშავებულია: 2018 წ. 16.04 2018 წ. 16.04 შოთა მესხიას

ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დამტკიცებულია: 20.04.2018 წ. შოთა მესხიას

სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო



შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ წესი

თავი I. ზოგადი დებულება

მუხლი 1. გამოყენების სფერო

- 1. ეს წესი შემუშავებულია „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- 2. წესი ადგენს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში – სასწავლო უნივერსიტეტი) აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და შრომის პირობების განსაზღვრის წესს.
- 3. წესი ვრცელდება შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალზე (შემდგომში – პერსონალი)

მუხლი 2. პერსონალის სამსახურში მიღების წესი

- 1. აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღება ხდება „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გამოცხადებული ღია კონკურსის საფუძველზე.
- 2. პერსონალთან შრომითი ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს შრომითი კოდექსის შესაბამისად დადებული ხელშეკრულებებით.

მუხლი 3. დასაქმებულთა შრომის პირობები და შრომის ანაზღაურება

აკადემიური პერსონალის შრომის პირობები და ანაზღაურება განისაზღვრება ყოველწლიურად განახლებადი შრომითი ხელშეკრულებებით



მუხლი 4. კონკურსის მიზანი

1. კონკურსის მიზანია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად სასწავლო უნივერსიტეტის ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობებზე მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევა და იგი უნდა შეესაბამებოდეს საჯაროობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

2. კონკურსის დროს საკონკურსო კომისია ადგენს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას კონკრეტული აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად წაყენებულ მოთხოვნებთან.

3. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად:

ა) პირველ ეტაპი - კონკურსანტის შეფასება წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით.

ბ) მეორე ეტაპი გასაუბრება

მუხლი 5. კონკურსის გამოცხადება

1. კონკურსს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად აცხადებს რექტორი აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე.

2. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობითა და სასწავლო უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით საბუთების მიღებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე. საბუთების მიღება გრძელდება არანაკლებ 1 და არაუმეტეს 2 კვირისა. კონკურსი ტარდება საბუთების მიღების დასრულებიდან არაუმეტეს ერთი თვის ვადაში.

3. საბუთების მიღებას ახორციელებს რექტორის ბრძანებით შექმნილი სასწავლო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია

მუხლი 6. კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე პირი

1. სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას და აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს 5 წლის ვადით, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, და რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე წესით განსაზღვრულ პირობებს



ბ) ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს 4 წლის ვადით დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება და რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე წესით განსაზღვრულ პირობებს.

გ) ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი 3 ან 4 წლის ვადით და რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე წესით განსაზღვრულ პირობებს.

დ) ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი 3 ან 4 წლის ვადით .

ე) კვალიფიციური პერსონალის მიერ შესაძლებელია პროფესორის/ასოცირებული პროფესორის/ასისტენტ-პროფესორის/ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დაკავება პროფესიული ნიშნით, რაც უნდა დადასტურდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით და სხვა.

მუხლი 7. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტები

1. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:

ა. განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე.

ბ. სამოტივაციო წერილი.

გ. ავტობიოგრაფია.

დ. დიპლომისა და დიპლომის დანართის ასლები.

ე. სამეცნიერო ხარისხის (ან დოქტორანტურაში სწავლის) დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

ვ. კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტების სერტიფიკატების ასლები.

ზ. შრომის წიგნაკის ჩანაწერის ასლი.

თ. ბოლო 5 წელიწადში წაკითხული კურსების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ი. ბოლო 5 წელიწადში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების დამადასტურებელი დოკუმენტების სია.

კ. ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც საუკეთესოდ წარმოაჩენს კანდიდატის კვლევის უნარს, სილაბუსი.

ლ. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

მ. ორი ფოტოსურათი

2. განცხადება ივსება საკონკურსო კომისიის სახელზე.



მუხლი 8. განაცხადების შეცვლის უფლება

კანდიდატს უფლება აქვს შეცვალოს თავისი განაცხადება შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე.

თავი II საკონკურსო კომისია

მუხლი 9. საკონკურსო კომისიის მიზანი

1. კონკურსის დროს საკონკურსო კომისია აფასებს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას კონკრეტული აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად წაყენებულ მოთხოვნებთან.
2. ამ მიზნის მისაღწევად კომისია:
 - ა) უზრუნველყოფს კონკურსის ჩატარებას დადგენილი წესითა და პროცედურების დაცვით;
 - ბ) აფიქსირებს კონკურსანტის მხრიდან წესების დარღვევის ფაქტებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას კანდიდატის კონკურსიდან მოხსნის შესახებ;
 - გ) ადასტურებს კანდიდატის მიერ მიღებულ ქულათა რაოდენობას ;
 - დ) ატარებს გასაუბრებას კანდიდატებთან და წარუდგენს რექტორს შესაბამის რეკომენდაციებს ;
 - ე) ახორციელებს ამ დებულებითა და კანონით დადგენილ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 10. საკონკურსო კომისიის შემადგენლობა

1. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედის თავმჯდომარე, მდივანი და კომისიის წევრები.
2. საკონკურსო კომისიას ქმნის და მის შემადგენლობას განსაზღვრავს რექტორი ადმინისტრაციული აქტით.

მუხლი 11. საკონკურსო კომისიის რეგლამენტი

1. კომისიის წევრებს შორის მოვალეობებს ანაწილებს და მუშაობის რეჟიმს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.
2. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება, კომისიის სხდომები უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.



3. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე კომისიის ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბარი გადანაწილების შემთხვევაში გადაწყვეტად ითვლება კომისიის თავმჯდომარის ხმა.
4. კომისიის გადაწყვეტილების მისაღებად კომისია ატარებს ღია კენჭრისყრას.
5. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე კომისიის დამსწრე წევრები და მდივანი: კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი აღნიშვნა.
6. კონკურსის პირველ ეტაპზე საკონკურსო კომისია ადგენს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.
7. პირველ ეტაპზე არადამაკმაყოფილებელი შეფასების მქონე კონკურსანტი კარგავს მომდევნო ეტაპზე გასვლის უფლებას და ეთიშება კონკურსს.
8. გასაუბრება ტარდება ზეპირი ფორმით, რომლის მიზანია კონკურსანტის მონაცემების შესაბამისობის დადგენა ვაკანტური თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან.
9. გასაუბრების მიმდინარეობა აისახება შესაბამის ოქმში.
10. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება იმ კონკურსანტს, რომელიც პროფესიულ ცოდნასთან ერთად ფლობს ინფორმაციას უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე რეფორმების შესახებ.



ზეპირი გასაუბრების კრიტერიუმები
გადმოცემის უნარი
ლოგიკური აზროვნების უნარი
ქცევის, მეტყველების მანერა

გადმოცემის უნარი – კონკურსანტი ახდენს თუ არა თემის ცდონის დემონსტრირებას, საუბარი არის თუ არა დამაჯერებელი, პრეზენტაცია არის თუ არა საინტერესო.

ლოგიკური აზროვნების უნარი – საუბარი შედგება თუ არა ლოგიკურად წარმოდგენილი ერთმანეთთან დაკავშირებული თემებისაგან. არის თუ არა საუბრის თემა ნათლად ჩამოყალიბებული, საუბარს აქვს თუ არა დასკვნითი ნაწილი.

ქცევის, მეტყველების მანერა – არის თუ არა საუბარი გრამატიკულად გამართული. იყენებს თუ არა აკადემიურ ლექსიკას, მეტყველება შეესაბამება თუ არა საუბრის თემას. კონკურსანტი ხომ არ არის დამაბული. ფლობს თუ არა აუდიტორიასთან ურთიერთობის ხერხებს.

ავტობიოგრაფიის შეფასების კრიტერიუმი

ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა
მოტივაციის დამაჯერებლობა
რეკომენდაციები

შეფასების სისტემა

მალიან კარგი _ 5
კარგი _ 4
საშუალო _ 3
დამაკმაყოფილებელი _ 2
არადამაკმაყოფილებელი _ 0-1



მუხლი 12. ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის შედეგები

1. კონკრეტულ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილე ყველა კანდიდატის ქულები ჯამდება ცალ-ცალკე.
2. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება კონკურსში გამარჯვებული კანდიდატების შესახებ ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრები და კომისიის მდივანი.
4. კონკურსის შედეგები გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი კვირის ვადაში უნდა ეცნობოს კონკურსანტს.
5. ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად საკონკურსო კომისია რეკომენდაციას უწევს კანდიდატს ან უარს ამბობს რეკომენდაციაზე.
6. რექტორი კომისიის გადაწყვეტილების გათვალისწინებითა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პირის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის/არჩევის თაობაზე.

მუხლი 13. კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურება

კომისიის წევრებს მიეცემათ შრომის ანაზღაურება :

კომისიის თავ-რე – 500 ლარი

კომისიის მდივანი — 450 ლარი

კომისიის წევრები – 400 ლარი

მუხლი 14. კონკურსთან დაკავშირებული დავები

კონკურსთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 15. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი.

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს წარდგინებით წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ.

